გადაწყვეტილება

N გ-20-4/540
02/07/2020

540-გ-20-1-4-202007020927

რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის № F 2280 უფლების გაუქმებისა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2020 წლის 12 მარტის № გ-20-7/312 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია“) აღნიშნავს, რომ შპს „იუნაითედ თრანსფორთ გრუფმა“ (რეგისტრირებული სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2011 წლის 20 ივლისს; ს.კ. №404904911) კომისიას მიმართა განცხადებით (კომისიაში რეგისტრაციის №შ-20-7/3251, 23.06.20) და მოითხოვა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2020 წლის 12 მარტის №გ-20-7/312 გადაწყვეტილებით მინიჭებული რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის № **F 2280** უფლების გაუქმება.

კომისია აღნიშნავს, რომ შპს „იუნაითედ თრანსფორთ გრუფი“ ფლობს რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლებას № **F 2280** შემდეგი პირობებით: სიხშირე - **156.725** მჰც (ზოლის სიგანით 25 კჰც) **ქ. ფოთში,** ერთი წლის ვადით - **2020 წლის 29 მარტიდან 2021 წლის 29 მარტამდე,** ოპერატიული რადიოკავშირისთვის, არაავტორიზებადი საქმიანობისთვის, დამხმარე ტექნოლოგიური დანიშნულებით, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2020 წლის 12 მარტის № გ-20-7/312 გადაწყვეტილებით.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტის და „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების“ 29-ე მუხლის მე-16 პუნქტის ა) ქვეპუნქტის შესაბამისად რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის უფლების გაუქმების საფუძველია რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის უფლების მქონე პირის მოთხოვნა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების“ 29-ე მუხლის მე-16 პუნქტის ა) ქვეპუნქტის თანახმად, კომისიამ, კენჭისყრის შედეგად ერთხმად

გადაწყვიტა:

1. გაუქმდეს რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის № **F 2280** უფლება და ძალადაკარგულად გამოცხადდეს შპს „იუნაითედ თრანსფორთ გრუფისთვის“ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლების მინიჭების შესახებ კომისიის 2020 წლის 12 მარტის №გ-20-7/312 გადაწყვეტილება;
2. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციას გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის შპს „იუნაითედ თრანსფორთ გრუფისთვის“ გაგზავნა და კომისიის ოფიციალურ ვებ გვერდზე (www.comcom.ge) გამოქვეყნება;
3. აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს კომისიის სხდომაზე გამოცხადებისთანავე;

4. დაევალოს კომისიის აპარატის სპექტრის და ტექნოლოგიის დეპარტამენტს (ლ. ლაშქარავა) და სამართლებრივი დეპარტამენტის ავტორიზაციის და ლიცენზირების ჯგუფს (მ. ქადეიშვილი) ინფორმაციის კომისიის უწყებრივ რეესტრში აღრიცხვა;
5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) შპს „იუნაითედ თრანსფორთ გრუფისთვის“ ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში;
6. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის ავტორიზაციის და ლიცენზირების ჯგუფს (მ. ქადეიშვილი).

კახი ბექაური

თავმჯდომარე

ვახტანგ აბაშიძე

წევრი

ელისო ასანიძე

წევრი

მერაბ ქათამაძე

წევრი